№ 0526-1254323 D 21.07.2026

შპს „ჯი-თი გრუპ“-ის (ს/ნ: 200119923)
გენერალურ დირექტორს თემურ უსტიაშვილს (პ/ნ: 61001007309)
Email: e.dolidze@gtgroup.ge

ასლი: სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურს
მის: თბილისი, შარტავას ქუჩა №7

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ (შემდგომში - **„კომპანია“**) განიხილა თქვენი განცხადება („კომპანიაში“ რეგისტრაციის ნომერი: №IN26-1238524, თარიღი: 6/10/2026, შემდგომში **„განცხადება“**), რომლითაც მოთხოვნილია №01.72.14.014.909 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (შემდგომში - **„მიწის ნაკვეთი“**) ჩასატარებელი სამუშაოების განხორციელების თაობაზე თანხმობის გაცემა, ვინაიდან „კომპანია“ წარმოადგენს „მიწის ნაკვეთის“ მიმდებარედ განლაგებული (გამავალი) ხაზობრივი ნაგებობ(ებ)ის მესაკუთრეს/მფლობელს.

წარმოდგენილი დოკუმენტის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ამ წერილში მოცემული ცხრილის შესაბამისად, სადემონტაჟო შენობასთან „კომპანიის“ კუთვნილი საინჟინრო ქსელებიდან დადგენილი მინიმალური დაშორებები დაცულია. შესაბამისად, „კომპანია“, როგორც შესაბამისი ხაზობრივი ნაგებობის მესაკუთრე/მფლობელი, თანხმობას აცხადებს „მიწის ნაკვეთზე“ სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელებაზე, წინამდებარე წერილსა და თანდართულ ცხრილში განსაზღვრული პირობების დაცვით.

ამასთან, განგიმარტავთ, რომ:

ა) იმ შემთხვევაში, თუ სადემონტაჟო სამუშაოების მიმდინარეობისას აღმოჩნდება, რომ შეთანხმებულ დოკუმენტაციაზე დატანილი „კომპანიის“ კუთვნილი საინჟინრო ქსელები სამშენებლო მოედანზე ან/და ასაშენებელი შენობა-ნაგებობის სიახლოვეს გადის განსხვავებული ტრაექტორიით და აღნიშნული ტრაექტორიის გათვალისწინებით არ არის დაცული წინამდებარე წერილის ცხრილში განსაზღვრული მინიმალური დაშორებები, თქვენ ვალდებული ხართ დაუყოვნებლივ შეაჩეროთ სამშენებლო სამუშაოები და აღნიშნულის შესახებ აცნობოთ „კომპანიას“.

შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი
0108, ქ.თბილისი, მედეა (მზია) ჯუღელის N10.
ტელ: +995 (32) 293 11 11; ფაქსი: +995 (32) 298 26 07
ელ-ფოსტა: info@gwp.ge/www.gwp.ge
საიდენტიფიკაციო კოდი 203826002

GEORGIAN WATER AND POWER LTD
10 Medea (Mzia) Jugheli Street, Tbilisi 0108, Georgia
Tel: +995 (32) 293 11 11; Fax: +995 (32) 298 26 07
E-mail: info@gwp.ge/www.gwp.ge
Identification Code 203826002

გ) იმ შემთხვევაში, თუ სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისას სამშენებლო მოედანზე ან/და ასაშენებელი შენობა-ნაგებობის სიახლოვეს გამოვლინდება სასმელი წყლისა ან/და წყალარინების ისეთი მილსადენი, რომელიც არ არის ასახული შეთანხმებულ დოკუმენტაციაზე და რომლის არსებობის შესახებ „კომპანიას“ ინფორმაცია არ გააჩნია, ხოლო აღნიშნული მილსადენი მდებარეობს წინამდებარე წერილის ცხრილში განსაზღვრულ მინიმალურ დაშორებებზე ნაკლებ მანძილზე, თქვენ ვალდებული ხართ დაუყოვნებლივ შეაჩეროთ სამშენებლო სამუშაოები და აღნიშნულის შესახებ აცნობოთ „კომპანიას“.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ „ა“ და „ბ“ პუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების არსებობის შემთხვევაში, სამუშაოების გაგრძელება დაუშვებელია „კომპანიის“ მიერ შესაბამისი ინსტრუქციებისა და წერილობითი თანხმობის გაცემამდე. საინჟინრო ქსელების დაცვის, გადატანის, რეკონსტრუქციის, მოწყობის ან/და დადგენილი მინიმალური დაშორებების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ყველა აუცილებელი ღონისძიება და შესაბამისი ხარჯი სრულად დაგეკისრებათ თქვენ და დაფინანსდება თქვენი მხრიდან.

ცხრილი

საინჟინრო ქსელი	დაშორება (ჰორიზონტალური მანძილი) საპროექტო შენობასა **(ასაშენებელი შენობის გარე კედლის/საძირკვლის კიდიდან)** და საინჟინრო ქსელებს შორის **(მილსადენის გარე კედლამდე (გარსამდე))**. (მეტრი)	
	შენობა-ნაგებობების საძირკველი	ღობე
სასმელი წყალი და წნევიანი წყალარინება	5	3
თვითდენითი წყალარინება	3	1.5
სატუმბო სადგური	15	15
რეზერვუარი	30	30

დანართი: 2 (ორი) ფურცელი.

პატივისცემით,

გივი ნადირაძე

ტექნიკური და საოპერაციო მიმართულების დირექტორი


არს. ჭა
H=1.8მ
DN150
DN400
არს. ჭა
H=1.7მ
ჭა D=1000მმ
H=1.8მ
რკ/ბეტონის მილი
d=400მმ L=12მ
კან. ჭა N2 H=1.55მ
Pk 0+12
რკ/ბეტონის მილი d=400მმ L=35მ
კან. ჭა N3 H=1.75მ
Pk 0+47
01.72.14.014.476
DN150
3,601.4 m2
არსებულ წყალარინების
გაუქმებელი 400მმ-იანი მილი
01.72.14.014.909
saproeqto Senoba
საპროექტო შენობა
არსებულ წყალსადენის
გაუქმებელი 150მმ-იანი მილი
DN150
DN400
SDR11 PN16 d=160მმ L=110მ
რკ/ბეტონის მილი d=400მმ L=50მ
4.0მ
5.2მ
3.0მ
1.0მ
4.0მ
5.3მ
კან. ჭა N4 H=1.5მ
Pk 0+97
რკ/ბეტონის მილი
d=400მმ L=14მ
DN150
DN400
არს. ჭა
H=1.5მ
DN400
დავით აღმაშენებლის ხეივანი
დავით აღმაშენებლის ხეივანი

"ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"

IN26-1238524

სიტუაციური ნახაზი



მასშტაბი : 1:700

0 5 10 20 30 40 metri

Coordinate System: WGS 1984 UTM Zone 38N
Projection: Transverse Mercator

მიწისქვეშა კომუნიკაციები

წყალმომარაგების გვირაბი

წყალმომარაგების მილი

წყალარინების ძსელი

● აღებული კოორდინატი

7/17/2026

GIS სამსახური

"ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"

საქართველო, 0112 თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. 95
ტელ.: (+995 32) 2 100000 ს/კ 204566978
95 Tsinamdzgvrishvili Street,0112 Tbilisi, Georgia
Tel.: (+995 32) 2 100000 I/C 204566978 www.silknet.com

№ SILK-08/6501-26 08/10/2026 15:39:24

შპს ჯი-თი გრუპი

შპს „ჯი-თი გრუპის“ გენერალურ დირექტორს
ბატონ თემურ უსტიაშვილს
თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი #216

ბატონო თემურ,

თქვენგან შემოსული წერილის (№ SILK-08/6469-26 7.10.2026წ.) პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის ხეივანი #218-ში, მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.72.14.201.016 სს „სილქნეტი“ არ არის წინააღმდეგი აწარმოოთ სადემონტაჟო სამუშაოები ქვემოთ მოცემული პირობების სრული დაცვით.

იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ტერიტორიაზე სამუშაოების წარმოებისას დადგინდება სს „სილქნეტის“ კუთვნილი ნებისმიერი სახის კომუნიკაციის არსებობა, განმცხადებელი(სამუშაოების მწარმოებელი) ვალდებულია დაუყოვნებლივ შეაჩეროს სამუშაოები და აღნიშნული ფაქტი შეატყობინოს სს „სილქნეტი“-ს წარმომადგენელს ელექტრონული ფოსტის(Info.Center@silknet.com) ან ოპერატიული სამსახურის ნომრებზე: 2950029 ან 2932740.

ირაკლი აბაშიძე
ტექნიკური განვითარების და
დაგეგმარების დეპარტამენტის
უფროსის მოადგილე

სს "სილქნეტი"
შეთანხმებულია
სამუშაოს დაწყების წინ გამოძახებულ იქნას
სს "სილქნეტის" წარმომადგენელი
ოპერატიული ბარათა: 2 95 00 29, 2 99 27 40
ტექნიკური განყოფილება
თარიღი 8-10-2016

სამშენებლო გენგეგმა



ექსპლიკაცია:

1. დასახურელი შენობა
2. მუშათა გასახდელი (კონტეინერის ტიპის)
3. დაცვის ჯიხური
4. ელექტრო ფარი
5. ტუალეტი დროებითი
6. სამშენებლო ღობე ქოლგით
7. ალაყაფის კარი
8. ავტოტვირთმზიდი
9. ავტო ამწე
10. არსებული ღობე
11. სამშენებლო ღობე ქოლგის გარეშე

სამშენებლო ღობის ესკიზი

კვეთი 1-1



- სამშენებლო გენგეგმა ეფუძნება დამკვეთის მიერ მოწოდებულ ტოპოგადაღების გეგმას.
- დროებითი სამშენებლო ღობე მოეწყოს ნაწილობრივ საკადასტრო საზღვრებში და წარმოადგენს მიწაში ჩაბეტონებულ ლითონის მილკვადრატებზე ვერტიკალურ სიბრტყეში შეკიდულ თუნუქის პროფილირებულ ფურცელს. სიმაღლე - 2,20 მ.
- სამშენებლო ღობის მდებარეობა და კონტური განსაზღვრულია საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემის მიხედვით.

სამშენებლო სამუშაოები განხორციელდეს არსებული, მიწისზედა და მიწისქვეშა კომუნიკაციების მესაკუთრე, შესაბამისი უწყებებიდან მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე

შენიშვნა:
სამშენებლო ღობე განთავსებულია საკადასტრო საზღვრებში და არ კვეთს საზღვარს

თანამდებობა	გვარი	თარიღი	ხელმოწერა
დირექტორი			
დაამუშავა	[illegible]		
შეამოწმა	[illegible]		

სტადია	ფურცელი	ფორმატი
მ.პ	მოპ-1	A2

შენობის დაშლის სამშენებლო გენგეგმა

მასშტაბი 1:150